საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მამუკა ნოზაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

ანა კოტეტიშვილი – კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - შპს-ს „კ. ა.“ (ს/კ----) დირექტორი გ. ფ., გ. მ.

წარმომადგენლები: ადვოკატი გ. ლ. /სიითი №/, მ. ი.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 06.12.2021

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 086/21

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. ნ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. ნ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორი პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2021 წლის 06 დეკემბერს საჩივრით მომართეს შპს-ს „კ. ა“-ს დირექტორმა გ. ფ.-მ და შპს-ს 50%-იანი წილის მფლობელმა გ. მ.-მ და მოითხოვეს ადვოკატ ნ. ნ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. გ. მ.-მ და გ. ფ.-მ აღნიშნული საჩივრით ეთიკის კომისიას მომართეს როგორც ფიზიკურმა პირებმაც და მოითხოვეს ადვოკატ ნ. ნ.-ის დისციპლინირება. საჩივრის ავტორები წარმომადგენლებთან: ადვოკატ გ. ლ.-სა და მ. ი.-სთან ერთად ესწრებოდნენ 2022 წლის საპროცესო კოლეგიის სხდომას.

1.2 საჩივრის ავტორების განმარტებით, შპს „კ. ა“ წარმოადგენს საფოსტო - გადამზიდავ კომპანიას, რომელიც ახორციელებს ტვირთების იმპორტს, ექსპორტსა და აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა მოქმედებებს. 2020 წლის აგვისტოს თვეში, კომპანიას, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან ტვირთის შემოტანისას, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტში შეექმნა პრობლემა. შემოტანილი საქონლის თვითღირებულება აღემატებოდა 15000 ლარს, რაც ითვლება დიდი ოდენობის საქონლად და საქმეში ერთვება ფინანსური პოლიცია. იმის გამო, რომ დამკვეთის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიერ შევსებულ დეკლარაცია ფორმა ოთხში მითითებული ტვირთისა და ფაქტობრივად შემოტანილი ტვირთის ნომენკლატურა განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, ფინანსურმა პოლიციამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე.

1.3 აღნიშნული საქმის წარმოებისათვის გ. მ.-მ და გ. ფ.-მ მიმართეს ადვოკატ ნ. ნ.-ს, რომელიც იყო გ. მ.-ის ახლობელი და ენდობოდნენ ადვოკატს.

1.4 ადვოკატმა ნ. ნ.-მა უფასოდ გაუწია საჩივრის ავტორებს კონსულტაცია; დაპირდა მათ, რომ აღნიშნულ საქმეს საადვოკატო ჰონორარის გადახდის გარეშე აწარმოებდა და მათ მხოლოდ საპროცესო ხარჯები უნდა აენაზღაურებინათ, რის შემდეგაც მხარეებს შორის გაფორმდა საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რომლის ასლიც ადვოკატს საჩივრის ავტორებისთვის არ გადაუცია.

1.5 საჩივრის ავტორების განმარტებით, ადვოკატმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ სისხლის სამართლის საქმეზე მოამზადებდა ორდერს, რისთვისაც საჭირო იყო გარკვეული მოსაკრებლის გადახდა და დამკვეთის წინააღმდეგ შეიტანდა სარჩელს სასამართლოში. შპს „კ. ა“-ს ანგარიშიდან 2020 წლის 06 ნოემბერს ადვოკატ ნ. ნ.-ს გადაურიცხეს 320 ლარი.

1.6 საჩივრის ავტორების განმარტებით, სისხლის სამართლის საქმეზე კომპანიას შეეხო ამნისტია და საქმე ფინანსური პოლიციიდან დაუბრუნდა საბაჟო დეპარტამენტს, რის თაობაზეც საჩივრის ავტორებს ადვოკატმა ნ. ნ.-მა ინფორმაცია არ მიაწოდა და გ. ფ.-მ და გ. მ.-მ აღნიშნული ფაქტის შესახებ მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატისაგან გაიგეს. საბაჟო დეპარტამენტმა საჩივრის ავტორებს მისცათ ტვირთის გატანის უფლება.

1.7 საჩივრის ავტორების განმარტებით, ადვოკატ ნ. ნ.-ის არაკვალიფიციური რჩევის გათვალისწინებით, თანხის გადაუხდელად გაატანეს ტვირთი მოწინააღმდეგე მხარეს და იმის გამო, რომ მოწინააღმდეგე კომპანიამ უკანონოდ მიისაკუთრა ტვირთი, წარმოეშვათ 11000 ლარის (გადაზიდვის თანხა) მოთხოვნის უფლება. დასახელებული საქმე ადვოკატ ნ. ნ.-ს უნდა ეწარმოებინა სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული მიმართულებებით, ყველა ინსტანციის სასამართლოსა და აღსრულების ეროვნულ ბიუროში. ადვოკატმა ნ. ნ.-მა საჩივრის ავტორებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ სამოქალაქო საქმის წარმოებისათვის საჭირო იყო გადაეხდათ სასამართლო ბაჟის საფასური 1580 აშშ დოლარის ექვივალენტი თანხა ლარში - 4950 ლარი, რაც საჩივრის ავტორებმა სრულად გადაუხადეს ადვოკატს.

1.8 საჩივრის ავტორების განმარტებით, 2022 წლის 07 დეკემბერს, ადვოკატ ნ. ნ.-ს უფასო საადვოკატო მომსახურების გამო, პატივისცემის ნიშნად, გ. ფ.-მ გადაურიცხა დამატებით 500 ლარი.

1.9 საჩივრის ავტორების განმარტებით, ადვოკატმა არაკვალიფიციურობა გამოიჩინა და სარჩელი ნაცვლად სამოქალაქოსი, დაბეჭდა ადმინისტრაციული ფორმის ბლანკზე.

1.10 საჩივრის ავტორების განმარტებით, 2021 წლის მაისის თვეში ადვოკატისაგან მიიღეს ინფორმაცია, რომ მას სარჩელი შეტანილი ჰქონდა სასამართლოში, თუმცა, მოგვიანებით მათთვის ცნობილი გახდა, რომ ადვოკატს სასამართლოსთვის არასდროს მიუმართავს.

1.11 საჩივრის ავტორების განმარტებით, 2021 წლის ზაფხულში კვლავ მიმართეს ადვოკატ ნ. ნ.-ს კონსულტაციის მიღების მიზნით და განუმარტეს ადვოკატს, რომ გადაწყვეტილი ჰქონდათ გაცნობა-დაოჯახებისათვის საიტის შექმნა. ადვოკატმა კლიენტებს განუმარტა, რომ კანონშეუსაბამო არაფერი იყო.

1.12 საჩივრის ავტორების განმარტებით, ადვოკატი რამდენიმე დღის შემდეგ დაუკავშირდა მათ და განუმარტა, რომ აღნიშნული საქმით დაინტერესდა პროკურატურა, ვინაიდან მათი საქმე განიხილებოდა როგორც პორნო ინდუსტრიის მსგავსი საქმიანობა და შეიძლება ორივე - გ. მ. და გ. ფ. დაეკავებინათ. ადვოკატმა კლიენტს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ამზადებდა ორდერებს; იცავდა მათ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებისაგან და მოითხოვა ორდერის ხარჯების ანაზღაურება - თითო ორდერისათვის 3000 ლარის გადახდა.

1.13 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ნ. ნ.-მა განუმარტა, რომ მათ, როგორც საიტის დამფუძნებლებს ისე მიაგნეს, თუმცა საიტი გაფორმებული იყო მათი მეგობრის სახელზე და გ. მ.-მ და გ. ფ.-მ ეჭვი შეიტანეს ადვოკატის კეთილსინდისიერებაში.

1.14 2021 წლის ოქტომბრის თვეში ადვოკატი ძალიან ხშირად ურეკავდა საჩივრის ავტორებს და მოითხოვდა ორდერის ხარჯების - სახელმწიფო მოსაკრებლის ანაზღაურებას. კლიენტებმა ადვოკატს განუმარტეს, რომ ორდერებთან დაკავშირებით მოსაკრებელი არ გადაიხდევინება, რის შემდეგაც ადვოკატმა გ. მ.-ს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა; დაემუქრა რომ პროკურატურაში განაცხადებდა მათი დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ; ნაცვლად ორდერის საპროცესო ხარჯებისა, მოითხოვა ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება და მიაწოდა მათ ინფორმაცია, რომ კლიენტების მიერ მანამდე გადახდილი თანხები წარმოადგენდა მხოლოდ სასამართლო ბაჟის საფასურს.

1.15 საჩივრის ავტორების განმარტებით, 2021 წლის 18 ოქტომბერს შეწყვიტეს ადვოკატის მომსახურებით სარგებლობა და ამის შესახებ მოკლე ტექსტური შეტყობინება გაუგზავნეს ადვოკატ ნ. ნ.-ს.

1.16 საჩივრის ავტორების პოზიციით, ადვოკატმა ნ. ნ.-მა დაარღვია კვალიფიციური და კეთილსინდისიერი მომსახურების ეთიკური სტანდარტები, ინფორმაციას არ აწვდიდა კლიენტებს საქმისწარმოებაზე და პირადი საუბრებისა და მიმოწერის გამჟღავნების მუქარით ცდილობდა კლიენტებისათვის თანხის გამოძალვას, რის გამოც ითხოვენ ადვოკატის დისციპლინირებასა და სახდელის სახით ადვოკატ ნ. ნ.-სათვის ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტას.

1.17 2022 წლის 17 მარტის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, საჩივრის ავტორების წარმომადგენელმა გ. ლ.-მ განმარტა, რომ ადვოკატი ნ. ნ. არ აწარმოებდა ხარჯთაღრიცხვას და თანხის გამოძალვის

მიზნით გ. მ.-ს უგზავნიდა სხვა კლიენტების მიერ ჩარიცხული თანხების სქრინებს, რაც ასევე წარმოადგენს კონფიდენციალობის პრინციპის დარღვევას.

1.18 საჩივრის ავტორების წარმომადგენელი ადვოკატი გ. ლ. დაესწრო 2022 წლის 06 ივლისის განხილვის კოლეგიის სხდომას, სადაც კიდევ ერთხელ დაადასტურა წერილობით საჩივარში აღწერილი გარემოებები. თავად საჩივრის ავტორებს განხილვის კოლეგიის სხდომაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2021 წლის 10 დეკემბერს ადვოკატმა ნ. ნ.-მა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება და მიუთითა, რომ საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

2.2 ადვოკატმა ნ. ნ.-მა განმარტა, რომ დიდი ხანია რაც გ. მ.-ს იცნობს და გ. მ. არის მისი შვილის ნათლია. 2020 წლის ოქტომბრის თვეში გ. მ.-ს შეექმნა პრობლემა ტვირთან დაკავშირებით, რის თაობაზეც სამართლებრივი კონსულტაცია გაიარა ადვოკატ ნ. ნ.-თან, რა დროსაც მხარეებს შორის დაიწყო ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა.

2.3 ადვოკატმა კლიენტს მიაწოდა ინფორმაცია, რომ აღნიშნული საქმე აუცილებლად მივიდოდა პოლიციამდე. გ. მ. არის დეკლარანტი, ტვირთებს ანიჭებს კოდებს და უშვებს შეკვეთას. ვინაიდან მან არასწორად შეავსო დეკლარაცია ტვირთი გაჩერდა საბაჟოზე, რის გამოც ტვირთის მესაკუთრე - ზ. გ, ვინც წარმოადგენდა შპს „პ. ჯ-ს“ დაჯარიმდა 23000 ლარით და საქმე გადაიგზავნა ფინანსურ პოლიციაში.

2.4 ადვოკატის განმარტებით, გამოძიება დაიწყო სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და გულგრილობის საფუძვლით გ. მ.-ის, გ. ფ.-ისა და ნ. ბ-ის მიმართ.

2.5 ადვოკატის განმარტებით, კლიენტებს შეუთანხმდა, რომ საადვოკატო მომსახურების საფასური თითოეული მათგანისათვის წარმოადგენდა 3000 ლარს, სულ - 9000 ლარს. ადვოკატის განცხადებით, გ. მ.-მ, გ. ფ.-მ და ნ. ბ.-მ გადაუხადეს ჰონორარის ნაწილი - 4950 ლარი და ადვოკატისათვის გადასახდელი აქვთ 4000 ლარი.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მან შეისწავლა საქმის მასალები, დასახა სამოქმედო სტრატეგია და ყოველთვის ახლდა კლიენტებს თან საგამოძიებო ორგანოში გამოკითხვებზე.

2.7 ადვოკატის განმარტებით, საქმეზე ამნისტიის მიღების შემდეგ, კლიენტებმა ადვოკატთან შეთანხმების გარეშე წამოიღეს ტვირთი; დაასაწყობეს და დაუმალეს დამკვეთს, რის შემდეგაც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტებს ინფორმაცია, რომ მათი ქმედება წარმოადგენდა დანაშაულს და ვინაიდან კლიენტებს არ სურდათ პრობლემები შექმნოდათ პოლიციასთან, ტვირთი გაატანეს მის კანონიერ მესაკუთრეს.

2.8 ადვოკატის განმარტებით, ის ესწრებოდა შპს „კ. ა.-სა“ და შპს „პ. ჯ.-ს“ შორის მიმდინარე მოლაპარაკებებს, რა დროსაც მხარეებს შორის შედგა მორიგება, შესაბამისად ადვოკატსა და კლიენტებს შორის შეთანხმება არ დადებულა სამოქალაქო დავის დაწყებაზე. ადვოკატის განცხადებით, აღნიშნული საქმისწარმოება მორიგების შემდეგ დასრულდა და კლიენტებს მისთვის საადვოკატო ჰონორარი სრულად არ გადაუხდიათ.

2.9 ადვოკატის განმარტებით, გ. მ.-მ ნამდვილად ჩაურიცხა დამატებით თანხა, თუმცა აღნიშნული თანხა არ წარმოადგენდა საადვოკატო საფასურს. დასახელებული თანხა გ. მ.-მ ადვოკატს გადასცა საჩუქრად, ვინაიდან ადვოკატი დაეხმარა მას ბიზნესის წარმოებაში.

2.10 ადვოკატის განმარტებით, გ. მ.-მ ნ. ბ-ის სახელით დააარსა ახალი კომპანია და შექმნა პორნო საიტი, რის თაობაზეც ადვოკატმა გაუწია სამართლებრივი კონსულტაცია და განუმარტა კლიენტებს, რომ მათი საქმიანობა ჩაითვლებოდა ტრეფიკინგის დანაშაულად.

2.11 ადვოკატის განმარტებით, ის თვეების განმავლობაში უწევდა საადვოკატო მომსახურებას გ. მ.-ს, გ. ფ.-სა და ნ. ბ-ს. კლიენტები ზუსტ ინფორმაციას ფლობდნენ ჰონორარის თაობაზე.

2.12 ადვოკატის განმარტებით, გ. მ.-ის დედამ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რის თაობაზეც აპლიკაციის „მესენჯერის“ საშუალებით აცნობა გ. ფ.-ს; მიაწოდა ინფორმაცია, რომ დასახელებული გარემოებების გათვალისწინებით ის ვეღარ შეძლებდა კლიენტებისათვის საადვოკატო მომსახურების გაწევას და მოსთხოვა კლიენტებს შეთანხმებით გათვალისწინებული ჰონორარის სრულად გადახდა.

2.13 ადვოკატის განმარტებით, მან კლიენტების ნების შესაბამისად გაუწია მათ საადვოკატო მომსახურება სისხლის სამართლის საქმეში; საგამოძიებო ორგანოში ყოველთვის ესწრებოდა კლიენტების გამოკითხვას, შეადგინა ადმინისტრაციული სარჩელი. სამოქალაქო სარჩელის შედგენა კლიენტებმა მათ შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულების შემდეგ მოინდომეს, რისი უფლებამოსილება და ვალდებულება ადვოკატს უკვე აღარ გააჩნდა.

2.14 ადვოკატის განმარტებით, გ. ფ.-სა და გ. მ.-ის მიერ ეთიკის კომისიაში საჩივრის წარმოდგენის მიზეზი გახდა ჰონორარის სრულად გადახდისაგან თავის არიდება.

2.15 ადვოკატ ნ. ნ.-ს საპროცესო კოლეგიის სხდომაში მონაწილეობა არ მიუღია. ადვოკატ ნ. ნ.-ს 2022 წლის 15 მარტს ადვოკატთა ერთიან ელექტრონულ ბაზაში მითითებულ მეილზე----- ეცნობა ეთიკის კომისიის სხდომის თარიღი. ეთიკის კომისიის აპარატი ცდილობდა ადვოკატ ნ. ნ.-თან დაკავშირებას ადვოკატთა ერთიან ელ. ბაზაში მითითებულ მობილურის ნომერზე ------, თუმცა ადვოკატი არ პასუხობდა ზარებს.

2.16 ადვოკატ ნ. ნ.-ს ეცნობა განხილვის კოლეგიის სხდომის თარიღის შესახებ. ადვოკატი არ დასწრებია განხილვის კოლეგიის სხდომას, 2022 წლის 06 ივლისს, ეთიკის კომისიის აპარატის იურისტთან საუბრისას განაცხადა, რომ ტექნიკური პრობლემის გამო ვერ ერთვებოდა სხდომაში, სურდა მისი დასწრების გარეშე მიეღო კომისიას საბოლოო გადაწყვეტილება; გადაწყვეტილების მიღებისას ეთიკის კომისიას ეხელმძღვანელა მისი წერილობითი ახსნა-განმარტებით; დააფიქსირა პოზიცია, რომ მას კლიენტებისათვის სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მიუყენებია და საჩივრის ავტორების მიერ წარმოდგენილ მიმოწერაში ის არ მონაწილეობდა.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2022 წლის 17 მარტს, მეოთხე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ნ. ნ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ნ. ნ.-მა ჯეროვნად არ მიაწოდა კლიენტს ინფორმაცია ჰონორარის შესახებ; არ აწარმოა სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილი საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით; არ წარმოადგინა კლიენტის ინტერესები სასამართლოში და კლიენტს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, შესაძლოა ადვოკატის მიერ დარღვეული იყოს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ა) და 6.2 მუხლები და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3, 8.5, 8.6, 8.8 და 8.12 მუხლები.

4. საქმის ფაქტები

4.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტები, რომლებიც უდავოა მხარეთა შორის:

4.1.1 ადვოკატი ნ. ნ. საადვოკატო მომსახურებას უწევდა როგორც, შპს „კ. ა"-ს, ისე ფიზიკურ პირებს გ. მ.-სა და გ. ფ.-ს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტება;
- 2020 წლის 04 დეკემბერს გაფორმებული მინდობილობები.

2021 წლის 18 ოქტომბრის დავალების ხელშეკრულების გაუქმება.

4.1.2 ნ. ნ. 2020 წლის 04 დეკემბრიდან წარმოადგენდა კომპანიის ინტერესებს სხვადასხვა ორგანოებთან ურთიერთობაში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტება;

2021 წლის 04 დეკემბერს გაფორმებული მინდობილობები.

4.1.3 საჩივრის ავტორებმა ადვოკატ ნ. ნ.-ს გადაუხადეს 4590 ლარი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტება,

2021 წლის 04 დეკემბრის გადახდის ქვითარი

4.1.4 საჩივრის ავტორებმა ადვოკატ ნ. ნ.-ს სისხლის სამართლის საქმეზე გადაუხადეს დამატებით 320 ლარი, ასევე საკუთარი ნებით, პატივისცემის ნიშნად ჩაურიცხეს დამატებით 500 ლარი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- საჩივრის ავტორების ახსნა-განმარტება;
- 2020 წლის 06 ნოემბრის გადახდის ქვითარი;

2021 წლის 19 ოქტომბრის საბანკო ამონაწერი.

4.1.5 მხარეთა შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდა საჩივრის ავტორების ინიციატივით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტება,
- 2021 წლის 18 ოქტომბრის დავალების ხელშეკრულების გაუქმება.

4.2 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილი სადავო ფაქტებია:

4.2.1 ადვოკატმა ნ. ნ.-მა წარმოადგინა კლიენტის ინტერესები სხვადასხვა ორგანოებთან, მათ შორის სასამართლოსთან ურთიერთობისას.

შპს „პ. ჯ.“-ს წინააღმდეგ ნ. ნ.-მა მოამზადა სარჩელები, ადმინისტრაციული წესით დაიწყო დავა, საჩივრის ავტორებს წარმოადგენდა სხვადასხვა ორგანოებთან, მათ შორის ფინანსურ პოლიციაში ურთიერთობისას. მხარეთა შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა შეწყდა კლიენტის ინიციატივით, საქალაქო სასამართლოში სარჩელის წარდგენამდე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტება
- ადმინისტრაციულ საქმეზე მომზადებული სარჩელი
- სატელეფონო მიმოწერა
- 2021 წლის დავალების ხელშეკრულების გაუქმება

4.2.2 ადვოკატმა ნ. ნ.-მა წინასწარ მიაწოდა ინფორმაცია საჩივრის ავტორებს ჰონორარის ოდენობის შესახებ.

ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ თანხის გადახდის ქვითარში მითითებულია დანიშნულება: „სისხლის, სამოქალაქო, და ადმინისტრაციული სასამართლო, საქალაქო, აპელაცია და უზენაესი სასამართლო, თავისი აღსრულებით“, რაც ამყარებს ადვოკატის განმარტებას, რომ მხარეებს სამივე ინსტანციაში წარმომადგენლობაზე შეუთანხმდა და საჩივრის ავტორებმა მისთვის ჰონორარის გადახდისას დანიშნულებაში თავად მიუთითეს საადვოკატო მომსახურების ფარგლები და მოცულობა. განხილვის კოლეგია ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე რომ, ნ. ნ.-ის საადვოკატო მომსახურებით კმაყოფილმა კლიენტებმა რამდენჯერმე ჩაურიცხეს თანხა და გადახდის ქვითრებში მითითებულია „პირადი გადარიცხვა“ და აღნიშნული თანხის მიღება არ ეხება საადვოკატო საქმიანობის განხორციელებას. ზოგიერთი ასეთი გადარიცხვა განხორციელებულია მხარეთა შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყებამდე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- 2020 წლის 04 დეკემბრის საგადახდო დავალება N-----

- 2020 წლის 06 ნოემბრის საგადახდო დავალება N----

- 2021 წლის 19 ოქტომბრის საბანკო ამონაწერი

4.2.3 ადვოკატმა ნ. ნ.-მა შემდეგი შინაარსის სატელეფონო შეტყობინებები გაუგზავნა საჩივრის ავტორს: „დედაშენმა.... პროკურატურას სულ დედის...ელი აგინა"; „ყველას დედებს მოგი..ნავთო"; „....იმუქრა და გადა..ვა თავზე"; „თქვენ იცით მე რა შემიძლია?"; „ სასწრაფოდ ანგარიში გამისწორე, არ მინდა პრობლემები შეგიქმნა"; „მეც შემიძლია ბევრი რამე და არ გირჩევ ჩემს გადაკიდებას"; „ფულს ველოდები, საქმეს ნუ გაირთულებ".

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ადვოკატის 2021 წლის 10 დეკემბრის წერილობით ახსნა-განმარტება, სადაც მითითებულია: „მე პირადად, ნ. ნ., ძალიან ვწუხვარ, რომ ამ სიბინძურეების წაკითხვამ მოგიწიათ. მე გ-ს პირადში მივწერე, როგორც შვილის ნათლიას. არ მიმიწერია არც დედამისისთვის, არც სხვა მეგობრისთვის. მე მხოლოდ ბოდიშის მოხდას ვითხოვდი, რაც დედამისმა ჩაიდინა მეტი არაფერი...".

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნ. ნ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ნ. ნ.-ის მიერ დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი:

„კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა."

6.2„ადვოკატმა წარმომადგენლობის განხორციელების პროცესში პატივი უნდა სცეს კლიენტს და იმოქმედოს იმგვარად, რომ არ შელახოს მისი ინტერესები, ასევე წარმომადგენლობის შეწყვეტისას არ მიაყენოს შეურაცხოფა კლიენტს" (ეთიკის კომისიის 2012 წლის 10 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე 077/12)

6.3ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 10(1) მუხლის მიხედვით: „ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად...." 10(2) მუხლის მიხედვით, გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს „დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი უწესრიგობის თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა უფლებების ან ღირსების დასაცავად,

საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, ანდა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.“

6.4ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში R.S and Z v Switzerland (განაცხადი N10414/83, 1984 წლის 01 ოქტომბრის გადაწყვეტილება) აღნიშნა: „პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა.“

6.5განხილვის კოლეგია დაეყრდნო ადვოკატ ნ. ნ.-ის მიერ 2021 წლის 10 დეკემბერს წარმოდგენილ წერილობით ახსნა-განმარტებას, სადაც ადვოკატი საჩივრის ავტორების მიერ წარმოდგენილი მიმოწერის პასუხად მიუთითებს: „მე პირადად, ნ. ნ., ძალიან ვწუხვარ, რომ ამ სიბინძურეების წაკითხვამ მოგიწიათ. მე გ-ს პირადში მივწერე, როგორც შვილის ნათლიას. არ მიმიწერია არც დედამისისთვის, არც სხვა მეგობრისთვის. მე მხოლოდ ბოდიშის მოხდას ვითხოვდი, რაც დედამისმა ჩაიდინა მეტი არაფერი...“ და არ გაიზიარა ადვოკატის ზეპირი განცხადება, რომ მიმოწერა მას არ ეკუთვნის.

6.6განხილვის კოლეგიამ გაიზიარა საპროცესო კოლეგიის პოზიცია, რომ „მართალია ადვოკატ ნ. ნ.-ს უშუალოდ საჩივრის ავტორისათვის არ მიუყენებია სიტყვიერი შეურაცხყოფა, თუმცა ადვოკატი კლიენტთან საუბრისას იყენებს უცენზურო სიტყვებს და მუქარის შემცველ ფრაზებს, კერძოდ: „დედაშენმა.... პროკურატურას სულ დედის...ელი აგინა“; „ყველას დედებს მოგი..ნავთო“; „....იმუქრა და გადა..ვა თავზე“; „თქვენ იცით მე რა შემიძლია?“; „ სასწრაფოდ ანგარიში გამისწორე, არ მინდა პრობლემები შეგიქმნა“; „მეც შემიძლია ბევრი რამე და არ გირჩევ ჩემს გადაკიდებას“; „ფულს ველოდები, საქმეს ნუ გაირთულებ“. ადვოკატ ნ. ნ.-ს კლიენტთან საუბრისას შეეძლო საკუთარი პოზიცია გამოეთქვა ისეთი ფორმით, რაც შესაძლოა ყოფილიყო მძაფრი, თუმცა არ იქნებოდა უწმაწური; საზოგადოებისათვის მიუღებელი ლექსიკითა და მუქარის ტონით წარმოთქმული.“ განხილვის კოლეგია მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ნ. ნ.-სა და ერთ-ერთ საჩივრის ავტორს შორის არსებობდა ნათესაური ურთიერთობა, რის გამოც მათ შორის წარმოქმნილმა უთანხმოებამ კიდევ უფრო მძიმე ფორმა მიიღო და საჩივრის ავტორის დედასთან მომხდარი შელაპარაკება განსაკუთრებით საწყენი აღმოჩნდა ადვოკატისათვის, რასაც მოჰყვა ადვოკატის მძიმე რეაქცია და საჩივრის ავტორს მიწერა ზემოთ აღნიშნული შეტყობინებები. კოლეგია განმარტავს, რომ მართალია, გ. მ.-სა და ადვოკატ ნ. ნ.-ს შორის არსებობდა ნათესაური ურთიერთობა, მხარეთა შორის წარმოქმნილმა უთანხმოებამ კი მათ დამოკიდებულებაზე განსაკუთრებით მძაფრად და უარყოფითად იმოქმედა, თუმცა ადვოკატმა იცოდა, რომ მოცემულ შემთხვევაში გ. მ. წარმოადგენდა მის კლიენტს. ადვოკატს, ადვოკატის პროფესია გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს, მათ შორის თავი შეიკავოს კლიენტისათვის შეურაცხყოფის მიყენებისა და მისდამი უპატივცემულო დამოკიდებულების გამოვლენისაგან და არ იმოქმედოს ისე, რომ მისმა ქმედებამ საფრთხე შეუქმნას ადვოკატთა კორპუსის რეპუტაციასა და საიმედოობას. ადვოკატ ნ. ნ.-ის მიერ კლიენტისათვის მიწერილი შეტყობინებები და ფრაზები ვერ ისარგებლებს სამართლებრივი დაცვით, რადგან შეუფერებელია ადვოკატის პროფესიისათვის და ჩრდილს აყენებს მთლიანად ადვოკატთა კორპუსს. ადვოკატ ნ. ნ.-ს ჰქონდა პროფესიული ვალდებულება,

კლიენტთან ურთიერთობისას დაეცვა ეთიკის კოდექსის ნორმები და საკუთარი ქმედებით საფრთხე არ შეექმნა საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისა და როლის განმტკიცებისათვის.

6.7 განხილვის კოლეგიამ იმსჯელა საჩივრის ავტორების პრეტენზიაზე, რომლის მიხედვითაც ადვოკატმა ნ. ნ.-მა სამოქალაქო დავაზე სარჩელით არ მიმართა სასამართლოს, არ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა და დაარღვია კლიენტის კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულება.

6.8 განხილვის კოლეგია არ იზიარებს საპროცესო კოლეგიის პოზიციას და განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორისა და ადვოკატის ახსნა-განმარტებები ურთიერთსაპირისპიროა. ადვოკატი სრულად უარყოფს საჩივრის ავტორების პრეტენზიას და წერილობით ახსნა-განმარტებაში მიუთითებს, რომ მის მიერ შერჩეული სტრატეგიის მიხედვით საქმე დაიწყო ადმინისტრაციული სამართლის კუთხით, რის შემდეგაც აპირებდა სასამართლოში წარედგინა სამოქალაქო სარჩელი, თუმცა მხარეები მორიგდნენ, გააგრძელეს ერთმანეთთან თანამშრომლობა და სასამართლოში სარჩელის წარდგენა საჭირო აღარ გახდა. განხილვის კოლეგია ვერ შეაფასებს ადვოკატის სტრატეგიასა და ტაქტიკას, თუმცა მხარეთა განმარტებებითა და საქმის მასალებით დასტურდება, რომ კლიენტების სასარგებლოდ ადვოკატ ნ. ნ.-ს გარკვეული მოქმედებები აქვს განხორციელებული, კერძოდ, საჩივრის ავტორებს გაუწია იურიდიული კონსულტაცია; გაეცნო საქმის მასალებს და დასახა სამოქმედო სტრატეგია; მოამზადა სარჩელი სასამართლოში წარსადგენად; კლიენტებს წარმოადგენდა ფინანსურ პოლიციასთან ურთიერთობაში; მონაწილეობდა მხარეთა შორის მორიგების პროცესში; გ. მ.-ის, გ. ფ.-სა და ნ. ბ-ის ინტერესებს იცავდა სისხლის სამართლის საქმეში და ესწრებოდა საპროცესო მოქმედებებს. ამასთან, განხილვის კოლეგია ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ საჩივრის ავტორებმა ადვოკატ ნ. ნ.-ს სხვა საქმეზეც მიმართეს და სთხოვეს მას, ეწარმოებინა მათი სისხლის სამართლის საქმე, რაც განხილვის კოლეგიას აძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ კლიენტები კმაყოფილები იყვნენ ნ. ნ.-ის საადვოკატო მომსახურებით.

6.9 მოცემულ შემთხვევაში, არაკეთილსინდისიერი წარმომადგენლობის მტკიცების ტვირთი საჩივრის ავტორებს ეკისრებათ. განხილვის კოლეგია იზიარებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებას №ას-872-830-2013, რომლის მიხედვითაც ,,საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტული ნორმით გათვალისწინებული იურიდიული ფაქტების შედეგად წარმოშობილი ურთიერთობების დასადასტურებლად, რაც საბოლოოდ წარმოადგენს სამართლის ნორმით გათვალისწინებულ მაკვალიფიცირებელ ელემენტებს, აუცილებელია ისეთი მტკიცებულებების არსებობა, რომლებიც უტყუარად მიუთითებენ ყველა მნიშვნელოვან გარემოებაზე.“ საჩივრის ავტორებს ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენიათ ისეთი უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა ადვოკატის მიერ არაკეთილსინდისიერ წარმომადგენლობას.

6.10 განხილვის კოლეგიამ არ გაიზიარა საპროცესო კოლეგიის პოზიცია კლიენტის ინფორმირების ვალდებულების დარღვევასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ ჰონორარის შესახებ კლიენტის ინფორმირების თაობაზე საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად ადვოკატმა ნ. ნ.-მა წარმოადგინა 2020 წლის 04 დეკემბრის საგადახდო დავალება N------, სადაც თანხის გადამხდელად

დაფიქსირებულია შპს „კ. ა“, ხოლო, მიმღები პირია ნ. ნ.. გადახდის დანიშნულებაში მითითებული ტექსტით ირკვევა, რომ კომპანიის მიერ ადვოკატისათვის გადახდილია საადვოკატო მომსახურების საფასური სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, სამივე ინსტანციასა და აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარმომადგენლობისთვის. აღნიშნული ადასტურებს, რომ ადვოკატმა კლიენტებს ინფორმაცია მიაწოდა ჰონორარის ოდენობაზე, რაც კლიენტებისათვის მისაღებ პირობას წარმოადგენდა. საჩივრის ავტორების მიერ წარმოდგენილ სხვა ქვითრებში, სადაც დაფიქსირებულია ადვოკატ ნ. ნ.-სათვის სხვადასხვა თანხების გადარიცხვა, დანიშნულებაში მითითებულია „პირადი გადარიცხვა“, რაც ადასტურებს, რომ აღნიშნული თანხები არ ყოფილა ჰონორარი ანდა ადვოკატის თუ საპროცესო ხარჯები. ზოგიერთი ასეთი გადარიცხვა შესრულებულია მხარეთა შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყებამდე და რამდენიმე თვით უსწრებს წინ მინდობილობის გაფორმების თარიღს. გარდა ამისა, საჩივრის ავტორები საჩივარში თავად მიუთითებენ, რომ ადვოკატს გარკვეულ თანხას მადლობის ნიშნად ურიცხავდნენ, ხოლო ნ. ნ. განმარტავს, რომ ერთ-ერთ საჩივრის ავტორს - გ. მ.-ს, როგორც ნათესავს, დაეხმარა ბიზნესის წარმოებაში, რის შემდეგაც მის მიერ მიიღო გარკვეული თანხა. აღნიშნული თანხის დანიშნულებაშიც მითითებულია „პირადი გადარიცხვა“. მხარეთა ახსნა-განმარტებებსა და წარმოდგენილი მტკიცებულებებზე დაყრდნობით განხილვის კოლეგია დადასტურებულად არ მიიჩნევს ადვოკატის მიერ კლიენტების არაინფორმირებულობის ფაქტს. გამომდინარე იქიდან, რომ დადასტურებულად არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ ჰონორარის გარდა, სხვა ხარჯების მიღება, კოლეგია ვერ იმსჯელებს ადვოკატის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.12 მუხლის დარღვევაზე.

6.11 ეთიკის კომისია ადვოკატ ნ. ნ.-ის საყურადღებოდ განმარტავს, რომ მართალია, დასახელებულ შემთხვევაში, ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისი არ არის კლიენტის არაინფორმირებულობის ფაქტის დასადგენად და ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დასაკისრებლად, თუმცა, კომისია დამატებით განმარტავს, რომ უმჯობესია, სამომავლოდ კლიენტთან ურთიერთობა მოაწესრიგოთ წერილობითი ფორმით, სადაც დაზუსტებით იქნება გაწერილი ხელშეკრულების არსებითი პირობები, კერძოდ, ჰონორარის ოდენობა, ხარჯები და საადვოკატო მომსახურების ფარგლები.

6.12 ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომისთვის პროპორციული დისციპლინური ღონისძიების შერჩევისას, განხილვის კოლეგია ითვალისწინებს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახეს, სიმძიმეს, პროფესიისათვის მიყენებული ზიანს, ადვოკატის საქმიან რეპუტაციას, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომებს, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულებას ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმას და სხვა გარემოებებს, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად.

6.13 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს–შ/13–15 განმარტა, რომ „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი

გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება.“

6.14 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა იქნება ადვოკატის მიერ განხორციელებული ეთიკური ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი, იმ გარემოების გათვალისწინებითაც, რომ არ არსებობს გაუქარწყლებელი დისციპლინური სახდელი ადვოკატ ნ. ნ..-ის მიმართ. განხილვის კოლეგია მხედველობაში იღებს ადვოკატ ნ. ნ..-ის ნათესაურ დამოკიდებულებას საჩივრის ავტორების მიმართ და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნ. ნ..-ის მიმართ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა უზრუნველყოფს ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ისეთი მიზნების განხორციელებას, როგორებიცაა კლიენტის პატივისცემა და ადვოკატის კორპუსის რეპუტაციის განმტკიცება.

6.15 განხილვის კოლეგია საჩივრის ავტორის წარმომადგენლის - ადვოკატ გ. ლ.-ძის საყურადღებოდ, რომელმაც სხდომის მიმდინარეობისას რამდენჯერმე დაარღვია წესრიგი და კოლეგიის თავმჯდომარის მიერ მიეცა გაფრთხილება, განმარტავს, რომ ეთიკის კომისია წარმოადგენს კვაზისასამართლო ორგანოს, სადაც ვრცელდება სასამართლოში მოქმედი ქცევის წესები. კოლეგიის თავმჯდომარე, რომელიც ხელმძღვანელობს ეთიკის კომისიის სხდომას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 223 (1)-ე მუხლით დადგენილი წესით: ხსნის, წარმართავს, წყვეტს სხდომას.... სიტყვის უფლებას ართმევს ყველას, ვინც არ ემორჩილება მას და ხელმძღვანელობს სხდომაზე წესრიგის დაცვას. მხარე ვალდებულია შეასრულოს კოლეგიის თავმჯდომარის მითითებები. კოლეგიის თავმჯდომარის მითითებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სსსკ-ის 212 (3)-ე მუხლის შესაბამისად თავმჯდომარეს უფლება აქვს მხარეს დაატოვებინოს სხდომა; წესრიგის დაცვისკენ მოუწოდოს მხარეებს და განახორციელოს სხვა ღონისძიებები. თავის მხრივ, ეთიკის საქმისწარმოებაში მონაწილე მხარე ვალდებულია დაიცვას ეთიკის კომისიაში მოქმედი ქცევის წესები, სხდომის მიმდინარეობა და წესრიგი.

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N086/21 ადვოკატ ნ. ნ.-ის მიმართ /სიითი N/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
4. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადაწყვეტილებას თან ერთვის კოლეგიის თავმჯდომარის - მამუკა ნოზაძის განსხვავებული აზრი.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ზესარიონ ბოხაშვილი/

III დისციპლინური კოლეგიის თავმჯომარის - მამუკა ნოზაძის განსხვავებული აზრი
ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაზე (საქმე №086/21)
დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

გამოვხატავ ღრმა პატივისცემას ჩემი კოლეგების მიმართ, რომლებიც შედიან მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობაში და რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება საქმეზე **№086/21** ადვოკატ ნ. ნ.-ის მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე. გადაწყვეტილებას ვეთანხმები კლიენტის ინფორმირებისა და კლიენტისათვის კეთილსინდისიერი საადვოკატო მომსახურების გაწევის ფარგლებში, თუმცა ვაფიქსირებ ნაწილობრივ განსხვავებულ აზრს კლიენტისათვის შეურაცხყოფის მიყენების ნაწილში. აღნიშნულ შედეგთან დაკავშირებით მაქვს განსხვავებული აზრი და მიმაჩნია, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე ადვოკატს არ უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა. ქვემოთ მითითებულია შესაბამისი დასაბუთება.

1. საჩივრის ავტორების განმარტებით, ადვოკატმა შეურაცხმყოფელი და მუქარის შემცველი ფრაზებით მიმართა კლიენტს, რის დამადასტურებლადაც წარმოადგინეს მიმოწერა ელექტრონული ფორმით.

2. მხარეთა განმარტებები განსხვავდება შეურაცხყოფის მიყენების ფაქტთან დაკავშირებით, კერძოდ, მართალია ადვოკატმა წერილობით ახსნა-განმარტებაში მიუთითა: „მე პირადად, ნ. ნ., ძალიან ვწუხვარ, რომ ამ სიბინძურეების წაკითხვამ მოგიწიათ. მე გ.-ს პირადში მივწერე, როგორც შვილის ნათლიას. არ მიმიწერია არც დედამისისთვის, არც სხვა მეგობრისთვის. მე მხოლოდ ბოდიშის მოხდას ვითხოვდი, რაც დედამისმა ჩაიდინა მეტი არაფერი...“, თუმცა ეთიკის კომისიასთან ურთიერთობისას დააფიქსირა, რომ საჩივრის ავტორების მიერ წარმოდგენილი მიმოწერა მას არ ეკუთვნოდა და სადავო გახადა მიმოწერის ავთენტურობა.

3. ადვოკატის მიერ კლიენტისათვის შეურაცხოფის მიყენების ფაქტი კლიენტის სამტკიცებელია. მხარეთა ურთიერთსაპირისპირო ახსნა-განმარტებების არსებობის შემთხვევაში სწორედ მოდავე მხარე (კლიენტი) არის ვალდებული ეთიკის კომისიაში წარმოადგინოს ისეთი უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც კომისიას დაარწმუნებს ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში.

4. მტკიცების ტვირთის გადანაწილებაზე, განხილვის კოლეგია იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2ბ/183-11, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.“ ვინაიდან საჩივრის ავტორებს აქვთ პრეტენზია, რომ ადვოკატმა ნ. ნ.-მა დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმები, მტკიცების ტვირთიც სწორედ მასზეა. იმის გამო, რომ ნეგატორული ფაქტის დადასტურება ზოგადად შეუძლებელია, არაგონივრულია ადვოკატისთვის მოთხოვნა, დაადასტუროს, რომ მას კლიენტისათვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია. იხ. №ას-148-139-2014 გადაწყვეტილება: „საკასაციო სასამართლო ... აღნიშნავს, რომ საპირისპირის მტკიცების ტვირთი მოპასუხეს ეკისრებოდა, ვინაიდან, ობიექტურად შეუძლებელია მხარეს ნეგატიური ფაქტის (გარემოების არ არსებობა, ან, ამ შემთხვევაში, შეურაცხყოფის მიუყენებლობა) მტკიცების ვალდებულება დაეკისროს..“

5. ყურადღებას ვამახვილებ იმ გარემოებაზე, რომ საპროცესო ეტაპისაგან განსხვავებით, განხილვის კოლეგიაში მტკიცების უფრო მაღალი სტანდარტი მოქმედებს. იმის გამო, რომ განხილვის კოლეგია ადგენს ადვოკატის მიერ დისციპლინური ქმედების ჩადენის ან არ ჩადენის ფაქტს და იღებს გადაწყვეტილებას ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის თაობაზე, მოქმედებს გაცილებით მაღალი სტანდარტით ვიდრე დასაბუთებულია ვარაუდის სტანდარტია და კომისია სარწმუნო მტკიცებულებათა ერთობლიობის სტანდარტით (საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების სარწმუნოება არსებითად უნდა აჭარბებდეს მეორე მხარის მტკიცებულებებს), ადგენს და აფასებს ფაქტებს. აღნიშნული სტანდარტი განმტკიცებულია ეთიკის კომისიის პრაქტიკით. ეთიკის კომისიამ 2018 წლის 01 ნოემბრის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეში N016/18, განმარტა, რომ „განსხვავებით საპროცესო ეტაპისგან, რადგან დისციპლინური წარმოება ადმინისტრაციული წარმოების სტანდარტით ხორციელდება, განხილვის ეტაპზე,

შეჯიბრებითი პროცესის პირობებში არ არის საკმარისი მხოლოდ ერთი მტკიცებულების მეშვეობით მეორის მცირედ გადაწონვა. საჭიროა, რომ წარმოდგენილი იყოს ცხადი და დამაჯერებელი მტკიცებულება ან მათი ერთობლიობა, რომელიც სადავო ფაქტს დაადგენდა."

6. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა ნ. ნ.-მა უარყო საჩივრის ავტორების მიერ წარმოდგენილი მიმოწერის ავთენტურობა. ასეთ დროს, ეთიკის კომისიამ სრულად უნდა გაიზიაროს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის რვა ნოემბრის გადაწყვეტილებით (საქმე საქმე „როსტომაშვილი საქართველოს წინააღმდეგ", საჩივარი № 13185/07) დადგენილი პრაქტიკა: „გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი. იგი დგინდება მხოლოდ იმ პირობით, თუ სასამართლო განხილვის დროს დამტკიცდა განსასჯელის მიერ დანაშაულის ჩადენა უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე...". შესაძლოა, ადვოკატმა ნამდვილად მიწერა საჩივრის ავტორებს გარკვეული შინაარსის შეტყობინებები, თუმცა ვარაუდის საფუძველზე შეუძლებელია დამტკიცდეს, რომ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი მიმოწერაა სწორედ ის მიმოწერა, რაც მხარეთა შორის არსებობდა. საჩივრის ავტორების მიერ წარმოდგენილია მხოლოდ ამონაბეჭდი, რომელსაც თან არ ერთვის ისეთი ცხადი და დამაჯერებელი დოკუმენტი (მაგ: ფაქტების კონსტატაციის ოქმი) ან ფოტო, ვიდეო მასალა, რაც დაადასტურებდა, წარმოდგენილი მიმოწერის ავთენტურობას და კომისია შეძლებდა სადავო ფაქტის დადგენას.

7. ყურადღება მინდა გავამახვილო საქართველოს უზენაესი კანონის - კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 ნაწილზე, რომლის მიხედვითაც, „დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი – უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ." მოცემულ შემთხვევაში, ვფიქრობ, განხილვს კოლეგიას შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში უნდა მიეღო ის ფაქტი, რომ საჩივრის ავტორმა არასათანადოდ შეასრულა მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება, სათანადო მტკიცებულებებით არ გაამყარა საკუთარი პოზიცია, მიუხედავად იმისა, რომ მას, ეთიკის კომისიაში მტკიცებულებების წარმოდგენის შესაძლებლობა ჰქონდა ნებისმიერ დროს, განხილვის კოლეგიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, რაც შესაბამისად უნდა ასახულიყო კიდეც განხილვის კოლეგიის მიერ სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღებაზე. განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის ავტორებს ეთიკის კომისიისათვის არ წარმოუდგენიათ ისეთი მტკიცებულება, რაც დააკმაყოფილებდა სარწმუნო მტკიცებულებათა ერთობლიობის სტანდარტს, რაც რა თქმა უნდა არ არის ისეთი მაღალი სტანდარტი, როგორიც სისხლის სამართალში მოქმედებს, ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენაზე. დასახელებულ შემთხვევაში საჩივრის ავტორების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, სარწმუნოებისა და კონკრეტულ ფაქტებთან შესატყვისობასა და ურთიერთშესაბამისობიდან გამომდინარე, აკმაყოფილებს მხოლოდ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს; არ გააჩნია დამაჯერებლობის მაღალი ხარისხი; არსებითად არ აჭარბებს მეორე მხარის მიერ წარმოდგენილ საქმის მასალებსა და პოზიციას

და გონიერი დამკვირვებლის თვალში აჩენს ლეგიტიმურ ეჭვს მისი სანდოობის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ საპროცესო კოლეგიას უნდა მიეღო გადაწყვეტილება „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 5.7 მუხლის საფუძველზე ადვოკატ ნ. ნ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე.

/მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის თავმჯდომარე